საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 21 0000285795

25/03/2021

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო)სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “ან„ არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5 აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 15 ოქტომბერს სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა N 988268 სააკრედიტაციო განაცხადი ,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 ნოემბრის № 1090869 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 4 თებერვლის № 63030 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 11 თებერვალს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო 2021 წლის 4 მარტს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
	√			

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 11 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევესხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:
1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ ,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 25 მარტის № 285667 სხდომის ოქმის № 1 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურს ების სილაბუსების გადახედვა ლიტერატურის განახლებისა და ნორმატიული მასალის კონკრეტიზაციის მიზნით;
- მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის „დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები“ სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები“;

- რეკომენდირებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში დაზუსტდეს პრაქტიკის გამვლელ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, რაც მნიშვნელოვანია პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში სტუდ ენტების გადანაწილებისა და პრაქტიკული კომპონენტების სწორი მენეჯმენტისთვის;
- რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავ რო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე"- სის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან.

რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ისეთი მექანიზმიც იქნება პროგრამაში გათვალისწინებული, როგორიცაა უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მოზიდვა და მათი ჩართვა სწავლებასა და კვლევაში;
- სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებდეს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის;
- სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს იმ სტუდენტების ინტერესები, რომლებიც უკვე B.2.2. დონეზე ფლობენ უცხო ენას და ამ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნულ დონეზე უცხოური ენის ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის (ენის ცოდნის შესაბამისი დონის სერტიფიკატი ანუ უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) წარდგენის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ უცხო ენის სავალდებულო 4 სასწავლო კურსის სწავლებისაგან. ამ შემთხვევაში სტუდენტები სავალდებულო წესით გაივლიან მხოლოდ პროფესიული უცხო ენის სასწავლო კურსებს (ჯამში 10 კრედიტის მოცულობით), ხოლო უცხოური ენის კომპონენტის დარჩენილი 22 კრედიტის ათვისების შესაძლებლობა ექნებათ პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების გავლით. ამასთან, ამ შემთხვევაში, ასევე, სასურველია, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნული 22 კრედიტი, მათი სურვილის შემთხვევაში, დააგროვონ სხვა უცხოენის შესწავლის ხარჯზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი გათვალისწინებული უნდა იქნას უცხო ენის შესწავლის დაწყება საწყისი A1 დონიდან;
- სასურველია, უსდ-მ დანერგოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმი, მოახდინოს აღნიშნული მექანიზმის სასწავლო პროცესში ინტეგრირება და აღნიშნულის შესახებ სტუდენტთა ინფორმირება;
- სტუდენტის მიერ უცხოური სამეცნიერო წყაროების კვლევით პროცესში ფართოდ გამოყენების მიზნით, სასურველია უსდ-მ შეიძინოს სამართალის მიმართულების ისეთი აქტუალური რესურსები, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com

აღნიშნული რესურსების შეძენა შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობით;

- სასურველია აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში;
- სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შეს აბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი (2022 წლის 11 მარტამდე).
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 11 მარტს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ